ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №61

ქ. თბილისი 23.03.2011

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო, (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ვლადიმერ ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აგროდეკორსერვისი" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის ლევან ჭანუყვაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში – შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 საქონლის შესყიდვა გულისხმობს აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის დეკორატიული მცენარეების მიწოდებას ინვოისის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (CPV-03451000).

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასები განისაზღვრება ინვოისის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 4677.00 ლარს (ოთხიათასექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება წარმოებს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კილომეტრი.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი მაია ირემაშვილი.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

8.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 8 აპრილის ჩათვლით.

XII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIII. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კილომეტრი ს/ს „თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი კოდი: 220101850 ა/ა GE76TB7010101010101010 საიდენტ კოდი: 205263873	შპს. „აგროდეკორსერვისი“ ხელვაჩაურის რაიონი სოფ. მეჯინისწყალი ტელ: 34 18 69; სს პროკრედიტ ბანკი კოდი: 220101901 ა/ა: GE56PC0033600100040887 ს/ნ: 248384822

ვლადიმერ ლუდუშაური
შესყიდვების საბჭოურის უფროსი

ლევან ჭანუყვაძე
გენერალური დირექტორი

შ.პ.ს. 'აგროდეპორსერვისი'

ხელვაჩაურის რ. სოფ. მეჯინისწყალი

ს/კ 248384822

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"

ბ/ს 220101901 ა/ა GE56PC0033600100040887

ტელ/FAX : +995 (32) 341869 ელ-ფოსტა : info@euroezo.ge www.euroezo.ge

პროფორმა ინვოისი

№	პროდუქტის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	სპაციფილიუმი	ცალი	1	250	250
2	დრაცენა	ცალი	1	550	550
3	დრაცენა ჯამაიკა	ცალი	1	320	320
4	პახირა	ცალი	1	350	350
5	დრაცენა ბიკოლორი	ცალი	1	480	480
6	შეფლერა	ცალი	1	150	150
7	ბენჟამენის ფიკუსი	ცალი	1	350	350
8	იუკა	ცალი	1	550	550
9	კალატეა	ცალი	1	110	110
10	ჯამი				**3110.00**
11	ფასდაკლება 10%				311
12	ჯამი				**2799.00**
13	ქოთანი (იტალიური კაშპო)	ცალი	1	155	155
14	ქოთანი (იტალიური კაშპო)	ცალი	1	320	320
15	ქოთანი (იტალიური კაშპო)	ცალი	2	279	558
16	ქოთანი	ცალი	4	150	600
17	საქვავილე მიწა	ლარი			200
18	კერამზიტი	ლარი			35
19	დეკორატიული ქვა	კგ	4	2.5	10
20					
21					
	სრული ჯამი				**4677.00**

დამკვეთი:

შემსრულებელი:
შპს "აგროდეპორსერვისი"

შპს "აგროდეპორსერვისის" გენ. დირექტორი /ლ.ჭანუყვაძე/